ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2672871

ნომერი: AR1413100

თარიღი : 14.06.2016

გაცემის თარიღი : 24.06.2016

გაცნობის თარიღი : 24.06.2016

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, გამზირი რუსთაველი #38;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია აროშიძე პ/ნ 01019058605
- თბილისი ჭ.ბენდელიანის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს #261 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2016 წლის 14 ივნისის AR1413100 14/06/2016 განცხადება ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რუსთაველის გამზირი #38-ის მიმდებარედ არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემის თაობაზე და გაცნობებთ, რომ საკითხი

განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე, სადაც საკითხს მიეცა დადებითი რეკომენდაცია. სამსახური გასცემს აღნიშნულ ნებართვას მხოლოდ იმ პირობით, რომ ორი თვის განმავლობაში თქვენ მიერ დამატებით იქნება წარმოდგენილი საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფართის მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;

მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მუხლი #66-ის პუნქტი #6-ის და მუხლი #17-ის პუნქტი #2-ის შესაბამისად გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რუსთაველის გამზირი #38-ის მიმდებარედ არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ დროებითი საზაფხულო კაფეს განთავსების მიზნით ორი თვის ვადით წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.